

სტამბოლის კონვენციის გავლენა ქართულ სისხლის სამართლის
მართლმსაჯულებაზე

გიორგი ბერიკიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის სისხლის სამართლის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ბერიკიშვილი

28.05.2022

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გამოიკვლიოს სტამბოლის კონვენციის გავლენა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე. სისხლისსამართლებრივი მექანიზმების ეფექტურად რეგულირებასა და მათ გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. საერთაშორისო სტანდარტი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სფეროში მოითხოვს, რომ კანონმდებლობა იყოს ყოვლისმომცველი და მულტიდისციპლინური, კრიმინალიზებული იყოს ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმა და მოიცავდეს პრევენციის, დაცვის, რეაბილიტაციის უფლებამოსილების და მხარდაჭერის საკითხებს (ჯანმრთელობა, ეკონომიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური), ასევე დამნაშავეთა ადეკვატურ დასჯას და დაზარალებულისთვის დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობას.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს სტამბოლის კონვენციის გავლენას სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე. ნაშრომში შესწავლილია სტამბოლის კონვენციის არსი, ქალთა მიმართ ძალადობის დასჯადობის ასპექტები, საპროცესო სამართლისა და დამცავი ღონისძიებების მიდგომები. ნაშრომში წარმოდგენილია ის ძირითადი ნაკლოვანებები, ხარვეზები და პრობლემები, რომლებიც კვლავ არსებობს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა (თითოეული თავი დაყოფილია რამდენიმე ქვეთავად) და დასკვნისაგან.

საკვანძო სიტყვები: მსხვერპლი, ბრალდებული, კონვენცია, ძალადობა.

Abstract

The aim of this master thesis is to investigate the impact of the Istanbul Convention on criminal justice. Effective regulation and use of criminal mechanisms is of great importance in the fight against violence. The International Standard on Violence against Women and Domestic Violence requires that legislation be comprehensive and multidisciplinary, criminalize all forms of violence against women, and include issues of prevention, protection, rehabilitation authority and support (health, economic, social, psychological) as well as criminal justice. And access to protection for the victim.

This master's thesis explores the impact of the Istanbul Convention on criminal justice. The paper examines the essence of the Istanbul Convention, aspects of the punishment of violence against women, approaches to procedural law and protective measures. The paper presents the main shortcomings, gaps and problems that still exist in legislation and practice.

The master thesis consists of an introduction, three chapters (each chapter is divided into several subsections) and a conclusion.

Keywords: victim, accused, convention, violence.